ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 10 01 2018 წ.

(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1-ნ

ქ. თ ბ ი ლ ი ს ი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2017 - 2018 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის ვაკანსიებისა და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-9 მუხლის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) 2018 წლის 5 იანვრის N6238 წერილის, ცენტრის დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის №837 ბრძანების ,,2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ", აგრეთვე 2016 წლის 3 მაისის N317 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონული პორტალის წარმოების წესის", ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-19 მუხლის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის (N1/025, 09.01.2018), ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის (N1/008, 04.01.2018), ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (N1/006, 04.01.2018), სოციალურ მეცნიერებათა (N1/033, 09.01.2018) სკოლების (ფაკულტეტების) დეკანების მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ვაკანსიები მობილობისთვის 2017 – 2018 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში დანართი N1-ის შესაბამისად.
2. განისაზღვროს ვადები 2017 – 2018 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის პროცესის ადმინისტრირებისთვის დანართი N2-ის შესაბამისად.
3. დადგინდეს მობილობის წესით გადმოსვლის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი N3-ის შესაბამისად.
4. უნივერსიტეტის მიერ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონული პორტალის წარმოების წესის" შესაბამისად შევსებული მობილობისთვის განსაზღვრული ვაკანტური ადგილების ელექტრონული ფორმის

(„ვაკანტური ადგილების რეპორტი“) წარდგენა ცენტრში მოხდეს არაუგვიანეს 2018 წლის 11 იანვრის ჩათვლით.

5. დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

6. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; ენების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი

სერგო ვარდოსანიძე

დანართი N1

2017 - 2018 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის წესით ჩასარიცხი სტუდენტების ვაკანტური ადგილები:

1. **ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლაში (ფაკულტეტზე)**
   ა) ფინანსები და საბანკო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **10 ადგილი;**
   ბ) ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **10 ადგილი;**
   გ) ტურიზმის ბიზნესის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **10 ადგილი;**
   დ) მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **10 ადგილი;**

2. **სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე):**
   ა) ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **20 ადგილი;**
   ბ) სოციალური მუშაობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **20 ადგილი;**
   გ) სოციოლოგიის (სოციოლოგია, დემოგრაფია) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **15 ადგილი;**
   დ) ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **5 ადგილი;**
   ე) სოციალური და განწყობის ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **10 ადგილი.**

   შენიშვნა: ზემოთ აღნიშნულ პროგრამებზე, გარდა ***სოციოლოგიის (სოციოლოგია, დემოგრაფია)*** საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისა, მობილობის წესით ჩარიცხვის წინაპირობაა კომისიის მიერ მობილობის მსურველთან გასაუბრება, მისი ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის მიზნით.

3. **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში (ფაკულტეტზე):**
   ა) სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **30 ადგილი;**
   ბ) საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონალური პროცესების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **20 ადგილი;**
   გ) ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე -**10 ადგილი;**
   დ) ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **10 ადგილი;**
   ე) ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **10 ადგილი;**
   ვ) სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **20 ადგილი;**
   ზ) საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **20 ადგილი.**

4. **ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე):**
   ა) მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **5 ადგილი;**
   ბ) ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **10 ადგილი;**
   გ) გამოყენებითი ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **10 ადგილი;**
   დ) საინფორმაციო ტექნოლოგიები და კომპიუტერული მოდელირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **5 ადგილი.**

<u>დანართი N2</u>

2017 - 2018 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის პროცესის ადმინისტრირების ვადები:

ა) მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) - 2018 წლის 2 - 12 თებერვალი;

ბ) კრედიტების აღიარებისა და გასაუბრების კომისიის მუშაობა და დასკვნების მომზადება - 2018 წლის 5 – 13 თებერვალი;

გ) სტუდენტების ინფორმირება აღიარებული კრედიტების თაობაზე და მათი თანხმობის/უარის წერილობითი დადასტურება - 2018 წლის 6 – 14 თებერვალი;

დ) მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვის ბრძანების/ბრძანებების პროექტის/პროექტების მომზადება და წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში - 2018 წლის 15 თებერვალი.

დანართი N3

მობილობის წესით გადმოსვლის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) განცხადება (ივსება ადგილზე);

ბ) სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისთვის);

ე) სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის (ჩარიცხვის ბრძანება, სტატუსის შეჩერება, აღდგენა და სხვ.) ასლი ან მისი ამონაწერი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული); მაგისტრანტებისათვის - ინფორმაცია საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარებული ტესტის ტიპის შესახებ;

ვ) სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი ან მისი ამონაწერი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული);

ზ) სახელმწიფო/სოციალური გრანტის მქონე სტუდენტებმა ცენტრის მიერ გაცემული ცნობა გრანტის გადმოტანის შესაძლებლობის, ოდენობის (ლარში) და დაფინანსების პერიოდის მითითებით.

თ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების (არსებობის შემთხვევაში) ცენტრის მიერ აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

დანართი N3

მობილობის წესით გადმოსვლის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) განცხადება (ივსება ადგილზე);

ბ) სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისთვის);

ე) სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის (ჩარიცხვის ბრძანება, სტატუსის შეჩერება, აღდგენა და სხვ.) ასლი ან მისი ამონაწერი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული); მაგისტრანტებისათვის - ინფორმაცია საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარებული ტესტის ტიპის შესახებ;

ვ) სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი ან მისი ამონაწერი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული);

ზ) სახელმწიფო/სოციალური გრანტის მქონე სტუდენტებმა ცენტრის მიერ გაცემული ცნობა გრანტის გადმოტანის შესაძლებლობის, ოდენობის (ლარში) და დაფინანსების პერიოდის მითითებით.

თ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების (არსებობის შემთხვევაში) ცენტრის მიერ აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი.